



**კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები
კარიერულ (მათ შორის დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად) და
აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით
2019-24 წლები**

კურსდამთავრებულთა კარიერული და აკადემიური განვითარების შეფასება უმაღლესი განათლების ხარისხის მონიტორინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მიუთითებს როგორც პროფესიულ, ისე აკადემიურ სფეროში მათი განვითარების ტენდენციებზე, განსაკუთრებით კვალიფიკაციის შესაბამის დასაქმებასა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებაზე. სახელოვნებო სპეციალობების დასაქმების ბაზარი სპეციფიკურად განსხვავდება ტრადიციული შრომის ბაზრისგან. აქ დასაქმება ხშირად გულისხმობს დროებით პროექტებზე მუშაობას, კრეატიულ ჩართულობას, ინდივიდუალურ ინიციატივებსა და შიდა მოტივაციაზე დაფუძნებულ განვითარებას. ორგანიზაციები--თეატრები, გალერეები, მუსიკალური ცენტრები და სხვ. — ხშირად თანამშრომლობენ დროებითი ან პროექტზე დაფუძნებული ფორმატით, რაც ხაზს უსვამს სფეროს მოქნილ და მრავალფეროვან ბუნებას.

ამიტომ, კურსდამთავრებულებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტრადიციული კარიერული გზების არჩევა, არამედ დამოუკიდებელი განვითარების გზების ძიება, მათ შორის სტარტაპები, ფრილანს პროექტები და ინდივიდუალური სახელოვნებო ინიციატივები. უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწორედ, ამ უნარების განვითარებას.

1. დასაქმება კვალიფიკაციის შესაბამისად:

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით იყენებს უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას პროფესიულ საქმიანობაში. მათგან უმრავლესობა დასაქმებულია საკუთარი სპეციალობის ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროში, რაც მიუთითებს სასწავლო პროგრამების შინაარსობრივად შესაბამისობაზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელოვნებო და საგანმანათლებლო სპეციალობების კურსდამთავრებულებს, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან ადგილობრივ და რეგიონულ დაწესებულებებში — თეატრებში, გალერეებში, მუზეუმებში, სკოლებსა და სტუდიებში.

კურსდამთავრებულთა 93% დასაქმებულია, მათ შორის 84% სპეციალობით, რაც მაღალი ხარისხის შესაბამისობას ნიშნავს აკადემიურ მომზადებასა და შრომის ბაზრის საჭიროებებს შორის.

მიმართულებების მიხედვით დასაქმების სპეციფიკა ასე გამოიყურება:

დრამისა და კინოს სამსახიობო მიმართულება: კურსდამთავრებულები პრაქტიკულად სრულად დასაქმებულნი არიან სახელმწიფო თეატრებში და კერძო შემოქმედებით პროექტებში, რაც მიუთითებს სახელოვნებო უნარების სცენაზე, სატელევიზიო სივრცეში და სხვა შემოქმედებით პლატფორმებზე რეალურ გამოყენებადობაზე.

კინო-ტელე სარეჟისორო და ტელე-რადიო ჟურნალისტიკის მიმართულების კურსდამთავრებულები აქტიურად არიან ჩართული აჭარის მედია დაწესებულებებში. ეს სეგმენტი მოიცავს როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო მაუწყებლობას, ბეჭდურ მედიას და სხვა.

მხატვრული კინოს სარეჟისორო მიმართულებების კურსდამთავრებულები გარდა სახელოვნებო დაწესებულებებში დასაქმებისა, მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტზე

დაფუძნებულ შემოქმედებით საქმიანობაში, რაც ამ სფეროს ტიპურ დასაქმების სტრუქტურას პასუხობს — მოქნილობა, დროებითობა, მრავალპროექტიანობა.

კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი/კულტურული ტურიზმი: კურსდამთავრებულები წარმატებით არიან დასაქმებული როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში — მუზეუმებში, კულტურულ ცენტრებსა და ტურისტულ სააგენტოებში და ეწევიან დისტანციურ ფრიალანსერ საქმიანობას, მათ შორის საერთაშორისო ბაზრებზეც.

ხელოვნებათმცოდნეობა/ხელოვნების ისტორია და თეორია: კურსდამთავრებულები ძირითადად მუშაობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებლებად, ასევე მომიჯნავე კულტურულ და საგანმანათლებლო პროფესიებში.

მუსიკის მიმართულება: კურსდამთავრებულთა 91% დასაქმებულია სპეციალობით, რაც მიანიშნებს ძლიერ პროფესიულ ბაზაზე. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რეგიონული კულტურული ცხოვრების განვითარებაში როგორც შემსრულებლები, პედაგოგები და ორგანიზატორები.

არქიტექტურა: 100% დასაქმებულია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, რაც პროფესიის მაღალი პრაქტიკული მოთხოვნის მაჩვენებელია.

მოდის დიზაინი: პრაქტიკულად, სრულად დასაქმებულია, ნაწილი თვითდასაქმებულია, რაც მოიცავს სტარტაპებს, ინდივიდუალურ საქმიანობას, პროექტებზე დაფუძნებულ ხელოვნებას.

2. კარიერული განვითარების შესაძლებლობები:

დასაქმების გარდა, კურსდამთავრებულთა ნაწილი პროფესიულ განვითარებას განაგრძობს დამოუკიდებელი შემოქმედებითი ინიციატივების, სტარტაპებისა და თავისუფალი პროფესიული საქმიანობის (freelance) გზით. კვლევამ აჩვენა, რომ შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროში კურსდამთავრებულები ავლენენ მზაობას იმუშაონ არატრადიციული დასაქმების ფორმატებით, რაც შეესაბამება თანამედროვე სახელოვნებო ბაზრის მოთხოვნებს.

3. აკადემიური განვითარება:

კურსდამთავრებულთა 40% აგრძელებს სწავლას (მაგისტრატურა, დოქტორანტურა, კურსები), მათ შორის ნაწილი უცხოეთის სასწავლებლებში. ეს მიუთითებს აკადემიური პროგრამების სანდოობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე. კვლევის შედეგების მიხედვით, კურსდამთავრებულები უნივერსიტეტს აფასებენ როგორც საფუძვლიან აკადემიურ მომზადებას უზრუნველყოფილ ინსტიტუციას, რომელიც მათ აძლევს მომავალი განვითარების საფუძველს.

4. უნივერსიტეტის წვლილი და მხარდაჭერა:

გამოკითხულთა 85% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათ განვითარებაში, მათ შორის განსაკუთრებით: ინდივიდუალური პოტენციალის წარმოჩენაში; პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერაში; აკადემიური და პრაქტიკული ბალანსის შენარჩუნებაში, პიროვნული უნარების განვითარებაში, რაც დასაქმებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

4. საჭიროებები:



კვლევამ ასევე გამოავლინა გარკვეული საჭიროებები - სტაჟირების სისტემის არასაკმარისი განვითარება შემოქმედებით დაწესებულებებში (თეატრები, სტუდიები, გალერეები). ეს იწვევს ბარიერებს რეალურ სამუშაო გარემოსთან ადრეულ კონტაქტში.

დასკვნა

კვლევა ნათლად აჩვენებს უნივერსიტეტის ძლიერ პოზიციას რეგიონული და ეროვნული შრომის ბაზარზე. მრავალმხრივი დასაქმების მოდელები: საჯარო, კერძო, პროექტული და ინდივიდუალური, ასახავს კურსდამთავრებულთა ადაპტაციის მაღალ უნარს. უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული პროგრამები ეფექტურად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ხოლო არსებული გამოწვევების დაძლევა შესაძლებელია სტაჟირების სისტემის გამტკიცებით და დამსაქმებლებთან უფრო მჭიდრო პარტნიორობით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 2019-2024
სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი



2019 ბაკალავრიატი 14, მაგისტრატურა 3,
 2020 ბაკალავრიატი 21, მაგისტრატურა 0,
 2021 ბაკალავრიატი 23, მაგისტრატურა 2,
 2022 ბაკალავრიატი 21, მაგისტრატურა 6;
 2023 ბაკალავრიატი 9, მაგისტრატურა 8;
 2024 ბაკალავრიატი 28, მაგისტრატურა 7;
 2025 მაგისტრატურა 1.



2019-24 წლებში სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი დაასრულა 143 სტუდენტმა -117 ბაკალავრი 82% 26 მაგისტრი 18% დასაქმებულია 135 - 94% : ბაკალავრი - 103 – 72% მაგისტრი 21- 28% სპეციალობით-124-91%; არასპეციალობით-11-9% (დასაქმებულების), კურსდამთავრებულების 86%

მუსიკის ფაკულტეტი:



2019 ბაკალავრიატი 6 მაგისტრატურა 8,
 2020 ბაკალავრიატი 4, მაგისტრატურა 7,
 2021 ბაკალავრიატი 6, მაგისტრატურა 4,
 2022 ბაკალავრიატი 2, მაგისტრატურა 2,
 2023 ბაკალავრიატი 5, მაგისტრატურა 1;
 2024 ბაკალავრიატი 8, მაგისტრატურა 4;



2019-24 მუსიკის ფაკულტეტი დაამთავრა 57 სტუდენტმა, 31 ბაკალავრი -54% 26 მაგისტი-46% დასაქმებულია 54 კურსდამთავრებული 94 %, აქედან სპეციალობით 52 სტუდენტი 91 %



განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2019 ბაკალავრიატი 7 მაგისტრატურა 3;
 2020 ბაკალავრიატი 0, მაგისტრატურა 1,
 2021 ბაკალავრიატი 12, მაგისტრატურა 0,
 2022 ბაკალავრიატი 11, მაგისტრატურა 3,
 2023 ბაკალავრიატი 9, მაგისტრატურა 5;
 2024 ბაკალავრიატი 11, მაგისტრატურა 0;



2019-24 განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაამთავრა 85 სტუდენტმა, 73 ბაკალავრი 12 მაგისტრი დასაქმებულია 73 კურსდამთავრებული 85%, აქედან სპეციალობით 47 ტუდენტი 64%

საუნივერსიტეტო მაჩვენებელი



2019-2024 წლების საუნივერსიტეტო დასაქმების მაჩვენებელი ასეთია:

კურსადმთავრებული - 285

დასაქმებული კურსადმთავრებული - 262 - 91%

სპეციალობით დასაქმებული - 223-78%

მასწავლებლის მომზადების პროგრამა (მუსიკა, ხელოვნება)

2019-2024 წლების მასწავლებელთა მომზადების პროგრამის სტატისტიკური მაჩვენებელი:

- 2019 - ხელოვნების მასწავლებელი 3 - დასაქმებული სპეციალობით 3 -100%
- 2020 - ხელოვნების მასწავლებელი -7 დასაქმებული სპეციალობით 7 – 100%
- 2021 -ხელოვნების მასწავლებელი -7 დასაქმებული სპეციალობით 5 – 71 %
- 2022 - ხელოვნების მასწავლებელი -8 დასაქმებული სპეციალობით 8 – 100%
- 2023 -ხელოვნების მასწავლებელი -2 დასაქმებული სპეციალობით 2 – 100%
- მუსიკის მასწავლებელი 3-დასაქმებული სპეციალობით 3-100%
- 2024 ხელოვნების მასწავლებელი -2 დასაქმებული სპეციალობით 2 – 100%
- მუსიკის მასწავლებელი 2-დასაქმებული სპეციალობით 2-100%

2019-2024 წლების მასწავლებელთა მომზადების პროგრამის საერთო სტატისტიკური მაჩვენებელი ასეთია სულ 34: ხელოვნება 29 , მუსიკა 5; დასაქმებული სპეციალობით 32 -94%.



ბარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სტუდენტთა კარიერული მზარდაჭერისა და პროექტების მართვის განყოფილება